ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7902476

ნომერი: AR11139567

თარიღი : 23.04.2026

გაცემის თარიღი : 30.04.2026

გაცნობის თარიღი : 30.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხერგიანი , N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ჩაკვეტაძე პ/ნ 62002006720
- ოჩამჩირე ს. ახალდაბა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 23 აპრილს №AR11139567 განცხადებით მომართა ლანა ჩაკვეტაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 19

თებერვლის №7814022 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებით, №01.11.10.008.221 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 17 მარტის №7844305 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 6407.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1338.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 10959.6 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული +20.50 და +23.80 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2026 წლის 6 მარტის №AR11132315 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
სამსახურის 2026 წლის 31 მარტის №7860939 ბრძანებით, ისევ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 1330.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 10951.6 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი 6407.4 კვ.მ-ის ნაცვლად არის 6406.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1330.1 კვ.მ-ის ნაცვლად - 1331.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1408.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1414.0 კვ.მ., დამხმარე ფართობი 171.1 კვ.მ-ის ნაცვლად 164.9 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1414.9კვ.მ-ის ნაცვლად - 1416.8 კვ.მ., საერთო ფართობი 10951.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 10953.2 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 6406.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1331.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1414.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 164.9 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1416.8 კვ.მ., საერთო ფართობად - 10953.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (8, 10-20 გვ.), გარდა ±0.00, +40.300 ნიშნულებისა და გადახურვის გეგმებისა, ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის №7814022 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.